გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 145

2024 წლის 13 სექტემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბანში, საბავშვო ბაღის, სკოლის და სტადიონის მიმდებარედ, „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო - საკრებულოს წევრის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფელ ხელთუბანში სკოლასთან, საბავშო ბაღთან და სტადიონთან 5 (ხუთი) ლოკაციაზე სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური უსწორმასწორობების განთავსება.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონულ სამმართველოსთან ერთად და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების და ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია, მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების სახით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბანში , საბავშვო ბაღის, სკოლის და სტადიონის მიმდებარედ, მოეწყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური უსწორმასწორობები გოსტ Р 52 605-2006-ის შესაბამისად, შემდეგი საგზაო ნიშნებთან ერთად: 1.18-„ხელოვნური უსწორმასწორობა“; 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/ სთ“; 5,20 „ხელოვნური უსწორმასწორობა.“ ასევე საჭიროა საგზაო ნიშნის 1.24 ,,ბავშვები" დამონტაჟება საბავშვო ბაღიდან, სკოლიდან და სტადიონიდან 50 მეტრამდე და 100 მეტრამდე მოძრაობის ორივე მიმართულებით.

საგზაო უსაფთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისში, საბავშვო ბაღის და სტადიონის მიმდებარედ, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს ზემოაღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბანში სკოლასთან, საბავშო ბაღთან და სტადიონთან 5 (ხუთი) ლოკაციაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“ დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;

ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);

გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

დ) საგზაო ნიშნი 1.24 ,,ბავშვები"

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე